



საზოგადოება



მანანა ქოჩლაძე: ანაკლია ერთი პატარა სოფელია, სადაც პორტისა და აეროპორტის ერთობლივი ფუნქციონირება წარმოუდგენელია!

ავტორი: ლილუ მირიბაძე

26 დეკემბერი, 2013. 10:10

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მთავრობამ ფოთში აეროპორტის აშენება იმის გამო გადაიფიქრა, რომ ფოთი ფრინველების გადაფრენის ზონაა და იქ აეროპორტის აშენება გაუმართლებელია, ანაკლიაში პორტის და აეროპორტის აშენებასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრის განცხადებას გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ.

ინტერნეტ საიტ „კომერსანტთან“ საუბრისას „მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხოზაძე აღნიშნავს, რომ ანაკლია, განსაკუთრებით აფხაზეთის მიჯნასთან არსებული ტერიტორია საპორტედ კარგი ადგილია, ხოლო კოლხეთის ეროვნული პარკის მხარეს პორტის აშენება გარემოსა და ადამიანებზე ზიანის გათვალისწინებით, დაუშვებელია. მისივე თქმით, პორტისა და აეროპორტისთვის ანაკლიის ტერიტორია პატარაა და დატვირთვა ძალიან მაღალი იქნება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ხელმძღვანელის მანანა ქოჩლაძის განცხადებით, მნიშვნელოვანი ობიექტების აშენებაზე გადაწყვეტილების მიღება ასე მარტივად არ უნდა ხდებოდეს. „ანაკლია ერთი პატარა სოფელია, სადაც პორტისა და აეროპორტის ერთობლივი ფუნქციონირება წარმოუდგენელია“, - აცხადებს გარემოსდამცველი.



LIVESTREAM

PRESS - კლუბი

- ვახტანგ ხმაღამის პრესკონფერენცია 08.03.2014
- ირაკლი სესიაშვილის პრესკონფერენცია 08.03.2014
- ვახა ძაგანიას პრესკონფერენცია 08.03.2014

არქივი

რეპორტიორი TV



თელეგადაცემები

- 'ცხოვრების გზა' ნანი ზრევამე 27.12.2013

Like 51 Tweet 1 +1 0 1 Share